ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N60

2024 წელი; 16 აგვისტო; 10:00 სთ; ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ნინო რუხაძე
ანა კილაძე
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
აკაკი ალადაშვილი
დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:

1. ნიკოლოზ კახეთელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე;
2. პაატა ტოგონიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
3. ირაკლი გვილავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. გიორგი ბებიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
5. ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
7. დავით ჯაიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
8. ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
9. გიორგი კობიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი;
10.სოფიო დოღონაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
11.გვანცა ჯანელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
12.თამარ გოგიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
2. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. №1-ში (ს/კ: 01.10.13.015.114) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ინსის“ (ს/ნ. 206278516) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
4. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
7. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობის დროის და პირობების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები;

9. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
15. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები;
16. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

17. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IIა მიკრო/რაიონში, N27-ის კორპუსის მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.06.014.050) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
18. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.13.397.002) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
19. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლების I და II ქუჩა N8/2-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.012.089, ფართობი - 827კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
20. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასლის ქუჩა N105-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.006.017, ფართობი - 6 622 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
21. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, II და III მიკრო/რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.642, ფართობი - 2803 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
22. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N49, N49ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.187, ფართობი - 18 664კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
23. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N22ა; ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.403, ფართობი - 10 617 კვ.მ; N01.14.01.001.190, ფართობი - 352 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
24. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მექანიზაციის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.077, ფართობი - 8 624 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

25. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, N 63-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.20.004.032, ფართობი - 867 კვ.მ) მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
26. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.245, ფართობი - 5 496 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
27. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩა N49; N47-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.247.003, ფართობი - 1 395 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
28. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, II მიკრო/რაიონი, II კვარტალი, N149 სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.02.025.027, ფართობი - 1 500 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
29. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი N1ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.011.122, ფართობი - 2 198 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
30. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
31. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N81 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.154.01.01.081), ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე N19 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.019.01.01.019) და ქალაქ თბილისში, ილია სუხიშვილის ქ. N45-ში მდებარე N43 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.046.01.02.043) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
32. ,,ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 13 დეკემბრის N46.12.908 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006.01.540) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის

შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

33. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.011.01.517) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
34. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
35. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.001.02.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
36. „ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.138.01.535) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
37. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N4ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.141.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
38. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N28-ში არსებული 21.30 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.5037) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
39. „ქალაქ თბილისში, თრიალეთის ქუჩა N54-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.004.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
40. „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდები: №01.19.20.020.085.01.500 და №01.19.20.020.085.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
41. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა №34-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.12.032.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
42. „ქ. თბილისში, საბურთალოს ქ. N26ა-ს მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით მანანა გოგიასთვის (პ/ნ: 01030045284) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
43. „ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.010.011) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფუდკოსთვის“ (ს/ნ: 412768535) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

44. „ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.031.066) პირდაპირი განკარგვის წესით ირინე გველესიანისთვის (პ/ნ: 01008023229) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
45. „ქალაქ თბილისში, კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. №37-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.013.036) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ ხარაიძისთვის (პ/ნ. 01010004194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
46. „ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.074.022) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალაქსი ინვესტისთვის" (ს/ნ. 404449049) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
47. „ქალაქ თბილისში, იოსებიძის ქ. №53-ში მდებარე 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.017.018) პირდაპირი განკარგვის წესით ნანა მაისურაძისთვის (პ/ნ. 01020000149) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
48. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და გენადი თავართქილაძეს (პ/ნ: 01024008500) შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმებული „პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გენადი თავართქილაძის (პ/ნ: 01024008500) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
49. „ქალაქ თბილისში, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N4-ში არსებული 857 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი N01.14.04.028.019) შესყიდვის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
50. „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №61-ში მდებარე, №01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" 2024 წლის 12 ივლისის №330 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ნიკოლოზ კახეთელიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მ/წლის 9 აგვისტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემის საკითხს.

ნიკოლოზ კახეთელიძემ ისაუბრა წარმოდგენილი კანდიდატურის კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილებისა და თანამდებობრივი პოზიციისთვის აუცილებელი სხვა დამაკმაყოფილებელი კრიტერიუმების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 77-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დანაწესზე, რომლის თანახმადაც, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია და უფლებამოსილებას იხსნის თბილისის მერის წინაშე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ კანდიდატურას და გადაწყვიტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის გაცემის საკითხზე უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

2. გიორგი ზებიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, შარტავას ქ. N1-ში არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ინსის" მიერ ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში შესრულებული

ვალდებულების დადასტურებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის N269 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ძალაში დატოვების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის მიერ (შემდგომში - „დაუმთავრებელი მშენებლობების კომისია") 2024 წლის 22 ივლისის სხდომაზე ზემოხსენებული საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის N269 განკარგულების შესაბამისად, შპს „ინსის" შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის 1,589,630.15 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდა უნდა განეხორციელებინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვისა.
- შპს „ინსის" მიერ განხორციელებული გადახდის ქვითრის მიხედვით, შპს „ინსიმ" თანხის 1,589,630.15 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდა განახორციელა 216 დღიანი დაგვიანებით, 2024 წლის 12 ივლისს.
- შპს „ინსის" მიერ გადახდილ იქნა 216 დღის ვადაგადაცილებისათვის დასაკისრებელი თანხა 67,045.05 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით.
- შპს „ინსიმ" ითხოვა, შესრულებულად ჩაითვალოს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 1,589,630.15 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდის ვალდებულება და მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

გიორგი ბებიაშვილმა ასევე ისაუბრა დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის თავმჯდომარისა და აღნიშნული კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შემდეგი რეკომენდაციების თაობაზე:

- იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) შპს „ინსის" ამ ეტაპზე ვალდებულება შესრულებული აქვს სრულად;

ბ) შპს „ინსის" მიერ ვალდებულების შესრულებისათვის გათვალისწინებული თანხის (1,589,630.15 აშშ დოლარი) ვადაგადაცილებით გადახდისათვის დასაკისრებელი თანხა 67,045.05 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (რომელიც ასევე გადახდილია) შესაბამისობაშია შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში დადგენილ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით დაკისრებული გადასახადის განსაზღვრის პრინციპთან და საანგარიშო ფორმულასთან;

გ) საპროცენტო განაკვეთი (7%) გამომდინარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის N21.929.1041 განკარგულებით შექმნილ დოკუმენტალურ აკრედიტივზე განთავსებულ თანხაზე არსებული წლიური სარგებლის განაკვეთისგან (8.5%) ბანკისგან მისაღები 1.5% სარგებლის გამოკლებით.

დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (განკარგულება N269; 09.06.2023)

განსაზღვრული შპს „ინსის“ მიერ შესასრულებელი ვალდებულება - ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში - ჩაითვალოს შესრულებულად.

მოხსენების მიწურულს, გიორგი ბებიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N23.828.918, 08.06.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება N269, 09.06.2023), ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ინსის“ მიერ შესასრულებელი ვალდებულება ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში ჩაითვალოს შესრულებულად და ამავე განკარგულებით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N269, 09.06.2023) გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ირაკლი გვილავამ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება ზემოაღნიშნული დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლი, რაც გულისხმობს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურება დაფინანსდება ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ლიმიტის - თვეში არაუმეტეს 9 (ცხრა) ვიზიტის ფარგლებში, მომსახურების მიმწოდებლის მიერ სამსახურში წარდგენილი ერთი ვიზიტის ფასის შესაბამისად - ნაცვლად 4 (ოთხი) ლარისა, არაუმეტეს 6 (ექვსი) ლარით.

მომხსენებლის მითითებით, წინამდებარე ცვლილების მიღების მიზანია, გაიზარდოს სპორტული ცენტრების დაინტერესება პროგრამაში ჩართვის საკითხთან დაკავშირებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არსებული ტარიფის - 4 ლარის გამო კერძო სპორტული

ცენტრები არ ინტერესდებიან და არ ერთვებიან აღნიშნულ პროგრამაში. გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობის მიმართვიანობა ძალიან მაღალია, რასაც სპორტული ცენტრების რაოდენობა ვერ წვდება, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ვერ სარგებლობს აღნიშნული პროგრამით, რაც საჭიროებს მოცემული ცვლილების განხორციელებას.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი გვილავამ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებაში ცვლილებების განხორციელებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება ზემოაღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციით განსაზღვრული წესის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი, რომელიც ადგენს მატერიალური საჯარიმო ქვითრის შინაარსობრივ მხარეს და ასევე მატერიალური საჯარიმო ქვითრის ფორმა (დანართი N2); კერძოდ:

- მატერიალური საჯარიმო ქვითრის მე-3 პუნქტში აღარ იქნება მამის სახელის მითითება საჭირო;
- მატერიალური საჯარიმო ქვითრის მე-9 პუნქტში ემატება სიტყვები „მისი რეკვიზიტები“, დამრღვევის მიერ ახსნა -განმარტების მითითების ნაწილში;
- მატერიალური საჯარიმო ქვითრის მე-2 გვერდზე მისათითებელი ტექსტის ნაწილში ემატება შემდეგი სიტყვები:

„გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

საჯარიმო ქვითრით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საჯარიმო ქვითრის ნომერი."

მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. გვანცა ჯანელიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილების პირველი მუხლის „დ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში" (შემდგომში - „წესი") ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შემდგომ ემატება „ა¹" ქვეპუნქტი, რომლითაც ქვეპროგრამის მოსარგებლეებად დამატებით განისაზღვრებიან ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის შექმნის მიზნით, მოხალისედ დარეგისტრირებული, პოტენციური დონორები, რომლებიც მერიისთვის განცხადებით მომართვამდე რეგისტრირებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი და აკმაყოფილებენ ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მომხსენებლის მითითებით, რედაქციულ ცვლილებას განიცდის წესის მე-3 მუხლი, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებათა მოცულობა და მე-3 მუხლს ემატება „გ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, ქვეპროგრამით გათვალისწინებული იქნება ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის შექმნის მიზნით, მოხალისედ დარეგისტრირებული, პოტენციური დონორების კვლევა, მათ შორის, ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) HLA - ტიპირებისათვის მოსამზადებელი კვლევები (სისხლის

საერთო ანალიზი, C ჰეპატიტი, B ჰეპატიტი, HIV, სიფილისი, თერაპევტის კონსულტაცია, სისხლის ჯგუფის დადგენა) და HLA ტიპირება.

როგორც გვანცა ჯანელიძემ განმარტა, ზემოაღნიშნული მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვრება დაწესებულება, რომელიც ძვლის ტვინის დონორთა მსოფლიო ასოციაციის (WMDA) რეკომენდაციის საფუძველზე, ახორციელებს ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის შექმნას, აკმაყოფილებს წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული სარეგისტრაციო განაცხადით ეთანხმება ვაუჩერის პირობებს, გამოთქვამს ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილეობის სურვილს და წერილობით, დადგენილი წესით დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს და საიდანაც მოსარგებლე ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარმოუდგენს მომსახურების დაფინანსებისათვის ანგარიშ-ფაქტურას.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა HLA - ტიპირებისათვის მოსამზადებელი კვლევებისა და HLA ტიპირებისთვის წარსადგენი დოკუმენტების საკითხზეც და აქვე დასძინა, რომ აღნიშნული მომსახურების დაფინანსება განხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის მეშვეობით, დადგენილი ტარიფის (5,000 ლარი) ფარგლებში სრულად, ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილებები განაპირობა ძვლის ტვინის დონორთა მსოფლიო ასოციაციასთან (WMDA) თანამშრომლობამ და მათმა მხარდაჭერამ, საქართველოში, ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის პროგრამის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ პროცესებში. იმისათვის, რომ ქვეყანაში შეიქმნას ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრი და იგი ჩაერთოს მსოფლიო დონორთა ბანკში, მთელი რიგი მოთხოვნებიდან, რომლებიც აუცილებლად უნდა შესრულდეს, ერთ-ერთია 500 მოხალისე დონორის ბაზის შექმნა. დღეისათვის, შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა", ძვლის ტვინის დონორთა მსოფლიო ასოციაციის (WMDA) რეკომენდაციების საფუძველზე, უკვე მუშაობს მოხალისე დონორთა ბაზის შექმნაზე და გამოთქვამს მზაობას დაიწყოს რეგისტრირებული დონორების კვლევა, რისთვისაც საჭიროა ფულადი სახსრები, რადგან, კვლევის ბიუჯეტი არ არის მცირე და შეადგენს 5,000 (ხუთი ათასი) ლარს.

მოხსენების მიწურულს, გვანცა ჯანელიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქვეყნისა და პაციენტების ინტერესთა გათვალისწინებით, დადგენილებაში ხორციელდება ცვლილებები, ვინაიდან, მომავალში ასეთი რეესტრის არსებობა პაციენტებს მისცემს საშუალებას ქვეყნიდან გაუსვლელად მიიღონ ყველა სამედიცინო მომსახურება ონკოლოგიური და ონკო-ჰემატოლოგიური დაავადებების მართვაში, ასევე დაიზოგება საბიუჯეტო თანხების გადინება ქვეყნის გარეთ. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2024 წლის 15 აგვისტო.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის მიმართ არსებული სტილისტური და ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე და ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს მისი გამოქვეყნების დღე და აღნიშნული ნორმატიული აქტის მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 15 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული თანხის ან/და საურავის, საბანკო დაწესებულების ან ელექტრონული გადახდის საშუალების მეშვეობით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადახდისას არ არის მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრების ნომრები, შესაბამისად, ვერ აისახება გადახდები და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევების საქმეებზე გამოიცემა საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებები, ხოლო საქმეები აღსასრულებლად ეგზავნება სსიპ – აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

მომხსენებლისვე მითითებით, მიმდინარე დროისათვის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში კვლავაც ფიქსირდება მოქალაქეთა მსგავსი შინაარსის ასეულობით წერილი და ამასთანავე, მომავალში მოსალოდნელი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი ღონისძიების ვადად განისაზღვროს 2023 წლის პირველი ივლისიდან 2024 წლის პირველ ნოემბრამდე პერიოდი, ნაცვლად 2024 წლის პირველი ივნისისა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც ვასილ აბულაძემ განმარტა, წარმოდგენილი ცვლილებით, პირებს, რომელთა მიმართაც უბილეთო მგზავრობისთვის, უფლებამოსილი პირების მიერ, 2023 წლის პირველი ივლისიდან 2024 წლის პირველ ნოემბრამდე შედგენილ იქნა/იქნება ელექტრონული საჯარიმო ქვითარი და აღნიშნული ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და საურავი გადახდილ იქნა/იქნება კანონით განსაზღვრულ ვადებში, თუმცა გადახდისას არ იქნა/იქნება მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, ხსენებული ჯარიმა/საურავი ჩაეთვლებათ გადახდილად და შესაბამისად, მათ მიმართ აღარ განხორციელდება გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობის დროის და პირობების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოს პარლამენტის მიერ „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება, გაჩერება და დგომა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის განკუთვნილ ზოლზე შესაბამისი კატეგორიის მსუბუქ ავტომობილ – ტაქსთან (M1 კატეგორია) ერთად ასევე დაშვებულ იქნა მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) შემთხვევაშიც, თუ ამ გამონაკლისს დაუშვებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო. ამავე ცვლილების ფარგლებში, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის №1 დანართს („საგზაო ნიშნები") დაემატა ახალი 5.41, 5.41.1, 7.20.6 პუნქტები და შესაბამისი საგზაო ნიშნები, ხოლო №2 დანართს („ჰორიზონტალური მონიშვნები") - 1.26 პუნქტი და შესაბამისი ჰორიზონტალური მონიშვნა.

მომხსენებლისვე მითითებით, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა ასევე საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", რომლის თანახმადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს მიენიჭა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის განკუთვნილ ზოლში შესაბამისი კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M1 კატეგორია) ან/და მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა/დასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილის ან/და დროის და პირობების განსაზღვრის უფლებამოსილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც ვასილ აბულაძემ განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შემუშავებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც, სატრანსპორტო საშუალებათა საერთო ნაკადის მოძრაობის მიმართულებით, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლში, სადაც განთავსებულია 5.41.1 საგზაო ნიშანი ან/და დატანილია „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.26 ჰორიზონტალური მონიშვნა, დასაშვებია მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობა დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, თუ იგი არ შეაფერხებს, არ გააძნელებს ან არ დააბრკოლებს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას, ხოლო ამავე გზის მონაკვეთზე ამ პროექტით

განსაზღვრული მოტოციკლის ან/და მოპედის მძღოლის მიერ მგზავრთა ჩასხდომა/დასხდომა-გადმოსხდომა აკრძალულია.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის მიხედვით, ზემოაღნიშნული პირობების დარღვევისას, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, შეადგენს საჯარიმო ქვითარს - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს, რომლის შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესი დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებით.

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების მიზანია საგზაო შემთხვევების რაოდენობის შემცირება და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება. მომხსენებელმა აქვე დაამატა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2024 წლის პირველი სექტემბერი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის მიმართ არსებული სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ბიზნესომბუდსმენის წერილობითი კორესპონდენცია და მათზე დართული ა(ა)იპ „საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის“ წერილი, რომლითაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ზემოაღნიშნული დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში ცვლილების შეტანა და ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ნ“ ქვეპუნქტის (ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდების/ტრანსპორტირებისას

საჭირო სატრანსპორტო საშუალებებზე მოძრაობის შეზღუდვისგან გათავისუფლება 08:00-11:00 საათების შუალედში) ძალადაკარგულად გამოცხადების ვადის გახანგრძლივება.

**მომხსენებლის** მითითებით, ბიზნეს ასოციაციის წერილში აღნიშნულია ის მიზეზები, თუ რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას დისტრიბუციის განმახორციელებელი პირებისთვის/ორგანიზაციებისთვის იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ნ" ქვეპუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ვადა არ გახანგრძლივდება; კერძოდ:

- აღნიშნული გამოიწვევს მიმწოდებლის საცალო ვაჭრობის ქსელურ ობიექტებზე მისვლისა და პროდუქციის გადაბარების მოცდენის დროის გაზრდას;
- მალფუჭებადი პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები პრაქტიკულად დადგებიან მთლიანი საწარმოო ციკლის შეცვლის აუცილებლობის წინაშე, რაც შეუძლებელს გახდის დილის საათებში სავაჭრო ობიექტების მომარაგებას;
- ზემოაღნიშნული გარემოებები როგორც სადისტრიბუციო, რითეილ სექტორისა და მწარმოებლების საქმიანობაზე აისახება მძიმედ, გაზრდის ფინანსურ ხარჯს, რაც თავის მხრივ, გამოიხატება პროდუქციის ფასის გაზრდაში და შემდგომში პრობლემებს შეუქმნის ობიექტების სრულფასოვან მომარაგებას.

**როგორც ვასილ აბულაძემ აღნიშნა, „საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის" წერილში მოყვანილი შესაძლო პრობლემების თავიდან აცილების, ბიზნეს სექტორის განვითარებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით,** წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ნ" ქვეპუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ვადის გახანგრძლივებას და ხსენებული ქვეპუნქტი ძალას დაკარგავს **2025 წლის პირველი იანვრიდან.**

**მომხსენებლის** განმარტებით, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება ასევე ზემოაღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი, 1[1] მუხლის პირველი და მეორე პუნქტები და დადგენილების დანართი 2-ით დამტკიცებული წესის პირველი მუხლი. აღნიშნული ცვლილება განპირობებულ იქნა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" 2024 წლის 19 ივლისის საქართველოს კანონით, რომლითაც ცვლილება შევიდა კოდექსის 135[2] მუხლში და მუხლის პირველ ნაწილში არსებულ სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიების ჩამონათვალს, რომელთა მოძრაობის ადგილს და დროს განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, **დაემატა T კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება** (ნებისმიერი თვლიანი ან მუხლუხა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო სამუშაოების შესასრულებლად).

**მომხსენებლის** მითითებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე **08:00-11:00 და 17:00-20:00 საათების შუალედში**, ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულ სხვა შესაბამის კატეგორიებთან ერთად, აკრძალული იქნება **T კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა**, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაციის თანახმად, T კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება საჯარო დაწესებულების საქმიანობის მიზნებისთვის ან ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის (კონტრაქტორის

სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში, იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის, რომელიც აუცილებელია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე ღონისძიების შემჭიდროვებულ ვადებში დასრულებისათვის).

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტების მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მათი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილებების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მათი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი დადგენილების ორი პროექტის გაერთიანებისა და მათი ერთი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის სახით ჩამოყალიბების, ასევე პროექტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარედგინა დამსაქმებელთა განცხადებები, რომელთა მიხედვითაც, მოთხოვნილია დასაქმებულთა სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების შეთანხმება, ვინაიდან აღნიშნული კომპანიები თავიანთი საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფენ დასაქმებული პირების ტრანსპორტირებას დადგენილი მარშრუტებით.

მომხსენებლისვე მითითებით, ოთხივე დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვასილ აბულაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 18 ივლისის N24.1265.1420 განკარგულების პირველი პუნქტით, დადგინდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტები, სათანადო დანართის შესაბამისად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინა დადგენილების პროექტი. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტის ახლებური რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილებების განხორციელებას.

მომხსენებლის განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და სსიპ – ქონების მართვის სააგენტო ერთდროულად არიან უფლებამოსილნი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმებაზე (გარკვეული მიმართულებებით), მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ზემოაღნიშნული გაერთიანდეს ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, კერძოდ, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო") ფუნქციებსა და უფლებამოსილებებში, ვინაიდან სააგენტოს ძირითად მიზანს წარმოდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო და ურბანული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, შესაბამისი კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის წარმოება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც ვასილ აბულაძემ აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ზოგად უფლებამოსილებებს დაემატა შემდეგი სახის უფლებამოსილებები:

- გზებზე, საგზაო ნაგებობებზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებზე და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩასატარებელი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სქემების მომზადება ან/და შეთანხმება;
- ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემა;
- ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე განსაზღვრული სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოდან თანხმობის გამოთხოვა.

მომხსენებლისვე მითითებით, სააგენტოს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამსახურის უფლებამოსილებიდან დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმების ნაწილი გადაეცემა ახალ სტრუქტურულ ერთეულს - „საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადების ან/და შეთანხმების სამსახურს" (რომლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს დღეის მდგომარეობით, ახორციელებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი სამმართველო, რომელიც გაუქმდება წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების თანადროულად).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული ახალი სამსახურის შექმნის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ასევე განისაზღვრება აღნიშნული სამსახურის მიერ განსახორციელებელი უფლება-მოვალეობებიც.

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემების შეთანხმების მსურველი განმცხადებელი, წარმოდგენილი ცვლილების განხორციელების შემდეგ, ერთი ფანჯრის პრინციპით, გამარტივებულად მიმართავს მხოლოდ ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის შეთანხმების მიზნით. ამასთანავე, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ შესათანხმებელი ღონისძიებები, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის შესაბამის წარმომადგენელთან ერთად განსახორციელებელი ღონისძიებები/დოკუმენტაციის შესწავლის საკითხის უფლებამოსილება, ასახულ იქნას სათანადო რედაქციებით, როგორც სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დებულებაში, ასევე, ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის დებულებაში. აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**11.** ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს ზემოაღნიშნული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სააგენტოს უფლებამოსილებებიდან, ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილების ამოღებას, ვინაიდან აღნიშნული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №52-1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, გადაეცემა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

მომხსენებლისვე მითითებით, დადგენილების პროექტი ასევე ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს სანებართვო სამმართველოს გაუქმებას და დებულებიდან მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის სრულად ამოღებას, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული სამმართველოს უფლებამოსილებებს. ვასილ აბულაძემ აქვე დასძინა, რომ დებულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„ვ“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებაში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფლებამონაცვლეს წარმოადგენს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

მომხსენებელი საშტატო ცვლილების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს სანებართვო სამმართველოდან 4 საშტატო ერთეული გადავა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ხოლო დარჩენილი 3 საშტატო/შტატგარეშე ერთეული კი განაწილდება სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში.

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძის მოსაზრებით, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №52-1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტის 1-ლი მუხლის მე-4 ქვეპუნქტის „ი“ და „კ“ პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო საჭიროებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობას,

მიზანშეწონილია, შემდგომში თანხმობის გაცემის უფლებამოსილება დარჩეს/განისაზღვროს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დებულებაში. აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №52-1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტის თანახმად, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფლებამოსილებებად განისაზღვრა ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე განსაზღვრული სამუშაოების წარმოებაზე ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ზემოაღნიშნულ წესს მე-5 მუხლის შემდგომ ემატება $5^1$ და $5^2$ მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებასა და ხაზობრივი ნაგებობების მონტაჟის, ასევე, საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე სხვა სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემის, ასევე ხაზობრივ ნაგებობაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის თანხმობის გაცემის ვადებს და დაჩქარებული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის ოდენობებს.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ დაჩქარებულ მომსახურებას, დღეის მდგომარეობით, ახორციელებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტო და აქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი ცვლილება არ გამოიწვევს განმცხადებლისთვის იმავე მომსახურების გაძვირებას.

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №52-1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილ პროექტთან შესაბამისობის და ერთგვაროვანი ტერმინების გამოყენების მიზნით, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდეს $5^1$ მუხლი; ასევე ისაუბრა წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტსა და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე და საქმის გადასაწყვეტად აუცილებელი, კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე დოკუმენტის ან ინფორმაციის წარსადგენად დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ $5^1$ მუხლის მე-12 პუნქტის ანალოგიური ჩანაწერის $5^2$ მუხლის მე-4 პუნქტში დამატების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს დადგენილებიდან მე-5 და მე-6 მუხლების ამოღებას, ვინაიდან აღნიშნული მუხლებით განსაზღვრული დაჩქარებული მომსახურების გაწევის ვადები და საფასურის ოდენობები ასახულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილ პროექტში.

გარდა ამისა, როგორც ვასილ აბულაძემ აღნიშნა, დადგენილების ამოქმედების დროისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ამავე დადგენილების პირველი მუხლით ამოღებული მუხლების შესაბამისად გადახდილი საფასურების საფუძველზე განმცხადებელს არ აქვს შესაბამისი მომსახურება მიღებული, მათი მომსახურება უკვე გადახდილი საფასურის ფარგლებში უნდა განახორციელოს სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადების ან/და შეთანხმების სამსახურმა.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, აღნიშნული დადგენილების ამოქმედებამდე, ამავე დადგენილების პირველი მუხლით ამოღებული მუხლების შესაბამისად გადახდილი საფასურების დაბრუნების თაობაზე ზემდგომი ორგანოს/სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება უნდა განხორციელდეს სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიერ.

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. დავით ჯაიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანას; კერძოდ, დადგენილების პირველი და მეორე მუხლების ახლებური რედაქციით ჩამოყალიბებას ახალი დანართების შესაბამისად.

მომხსენებლის მითითებით, 2024 წლის 26 ივლისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მერის სახელზე შევიდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილი, რომლის თანახმადაც, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მდგომარეობით, დედაქალაქის მიმართულებით რუსთავიდან ხორციელდება მგზავრთა გადაყვანა M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით, მგზავრთა დიდი ნაკადის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში კვლავ დღის წესრიგში დგას რუსთავი - თბილისის (უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი), რუსთავი - თბილისის (რკინიგზის სადგური) და რუსთავი - თბილისის (დიდუბის ავტოსადგური) მიმართულებით ახალი მარშრუტების შეთანხმების საკითხი, ვინაიდან აღნიშნული მისამართებიდან მუდმივ პრობლემას წარმოადგენს მგზავრების გადაყვანა, განსაკუთრებით საღამოს საათებში, შესაბამისად, გაზრდილია ავტობუსების მოლოდინის დრო და მოთხოვნები სოციალურად ორიენტირებულ ტარიფებთან დაკავშირებით.

როგორც დავით ჯაიანმა განმარტა, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, რუსთავის მაცხოვრებლებისთვის ხელმისაწვდომი ტრანსპორტის მომსახურების შეთავაზების უზრუნველსაყოფად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს უკვე დაწყებული აქვს დამატებით 70 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსების შემოყვანის პროცედურა (2024 წელს 20 ერთეული და 2025 წელს 50 ერთეული). შესაბამისად, ამ კონტექსტში, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მუნიციპალიტეტებს შორის კონკრეტულ მარშრუტებზე შეთანხმების მნიშვნელობას, რომელიც ხელს შეუწყობს ერთობლივი მიზნის სწორად და ეფექტიანად გადაწყვეტას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 12 აგვისტოს N24.1397.1546 განკარგულებით დადგინდა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინა შემდეგი სახის ცვლილებები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტები და მარშრუტების დისლოკაციების ადგილებს დაემატა 3 წრიული მარშრუტი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ გზების ჩამონათვალი და მათზე ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერების ადგილები, სადაც რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსები (M3 კატეგორია) გაჩერდებიან და გაჩერების ადგილები 56-დან 137-მდე გაიზარდა.

მოხსენების მიწურულს, დავით ჯაიანმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტურ ნაწილში“ ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, დადგენილების დანართი 1.11-ით, ვარკეთილის მასივში განსაზღვრულ „B1“ არეალზე სამშენებლო განვითარებისთვის დასაშვებ განსაკუთრებულ პირობებთან მიმართებით, ზუსტდება სამშენებლო მოცულობის პროცენტულობა (18%), რომელიც მოიცავს მხოლოდ საცხოვრებელ ფართებს და არ მოიცავს გადასაცემი ფართების აივნების ფართობს.

აგრეთვე, ოთარ ჩიტიძის განმარტებით, სამშენებლო განვითარების იმ მიწის ნაკვეთზე განხორციელების შემთხვევაში, რომელიც კერძო პირის საკუთრებას წარმოადგენს და მასზე მდებარე არანაკლებ IV კატეგორიის ავარიულობის ხარისხის შენობა-ნაგებობა/ნაგებობები თვითნებურად არის დაკავებული ფიზიკურ პირთა მიერ, საკუთრების/მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, გამოირიცხება მშენებლობის იმ

სპეციალური პირობების გავრცელება, რომლებიც მესაკუთრეთა (მფლობელთა) დაკმაყოფილების ან/და მათ საკუთრებაში არსებული ფართების/მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის მიზნებს ემსახურება. ამასთანავე, აღნიშნული მიწის ნაკვეთის სხვა ისეთ მიწის ნაკვეთთან (შენობა-ნაგებობის გარეშე) გაერთიანების შემთხვევაში, რომლის ფართობიც არ აღემატება გაერთიანების შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთის საერთო ფართობის 30%-ს, ზემოხსენებული რეგულირება გავრცელდება გაერთიანებულ მიწის ნაკვეთზე სრულად.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი ცვლილების მიზანია, პრაქტიკაში გამოვლენილი შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფა და თანაბარი პირობების შექმნა.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიშმ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ოთარ ჩიტიშმ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში (შემდგომში - „განაშენიანების რეგულირების წესები“) ცვლილების განხორციელებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილება შედის განაშენიანების რეგულირების წესების 30-ე მუხლის (მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების წესი) მე-15 პუნქტში, რომელიც ადგენს შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს ღიობის საანგარიშო ზედაპირზე მოწყობის სიმაღლეს. კერძოდ, მე-15 პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

,,გ) განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, თუ ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა დამხმარე შენობა-ნაგებობასთან ერთად, ძირითად შენობა-ნაგებობაზე ამ პუნქტის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნები არ გავრცელდეს დამხმარე შენობა-ნაგებობის სახურავის/კეხიდან 5 მეტრის ზემოთ."

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ზემოაღნიშნული ცვლილებით, მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების წესიდან გამონაკლისის დაშვება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა დამხმარე შენობა-ნაგებობასთან ერთად.

მომხსენებლის მითითებით, ცვლილება შედის ასევე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) რეგლამენტში და შენობა-ნაგებობის მაქსიმალურ სიმაღლედ 16 მეტრის ნაცვლად განისაზღვრება 17 მეტრი (გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონისა, გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, არაუმეტეს 5 სართულისა).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილების მიზანია, პრაქტიკაში გამოვლენილი შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფა.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ დადგენილებათა პროექტების მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მათი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილებების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მათი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი დადგენილების ორი პროექტის გაერთიანებისა და მათი ერთი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის სახით ჩამოყალიბების, ასევე პროექტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IIა მიკრო/რაიონში, N27 კორპუსის მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის მიზანს წარმოადგენდა გამარჯვებული პირის მიერ, ქ. თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-

ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესამლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ზემოაღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჯივიაი მოტორს ჯორჯია", რომლის უფლებამონაცვლედ შემდგომში შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრა შპს „ახალი ვაზისუბანი".

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ზემოაღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ჯამურად, სხვადასხვა კოოპერატივის 46 (ორმოცდაექვსი) ოჯახის/წევრის დაკმაყოფილებას უძრავი ქონებით და მუნიციპალიტეტისთვის - 2602.26 კვ. ოდენობის საცხოვრებელი ფართის გადმოცემას. გარდა ამისა, ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) განისაზღვრა არაუმეტეს 5.0-ით.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ, დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტისთვის/სახელმწიფოსთვის დაზარალებული პირების დროულად დაკმაყოფილების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, თანხმობა განაცხადა საპროექტო მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარებასთან და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის (კ-2 – 5,0) გადამეტებასთან დაკავშირებით და ამ მიზნით, კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაზე.

მოხსენების მიწურულს, როგორც ოთარ ჩიტიძემ აღნიშნა, იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, აკმაყოფილებს განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლით დადგენილ მიზნებს, იგი უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საპროექტო მიწის ნაკვეთის ინდივიდუალურად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების გარეშე განვითარება და აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის

გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით, 2023 წლის 3 ოქტომბრიდან 2023 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის მიზანს წარმოადგენდა გამარჯვებული პირის მიერ, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე 16000 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული პირებისთვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ზემოაღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნიუ გლდანი“.

ოთარ ჩიტიძემ ყურადღება გაამახვილა ინტერესთა გამოხატვის 1.6. პუნქტზე, რომლის თანახმადაც: „უძრავი ქონების სამშენებლოდ განვითარდება შესაძლებელია განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დამუშავების გარეშე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 8-ე მუხლის $5^1$ პუნქტის გათვალისწინებით, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენისა და უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

მომხსენებლის განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოიაზრება 118 დაზარალებული პირის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება და იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, აკმაყოფილებს განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლით დადგენილ მიზნებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საპროექტო მიწის ნაკვეთის ინდივიდუალურად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების გარეშე განვითარება და აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლების I და II ქუჩა N8/2-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 827კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=4.0-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 1 (ერთი) სართულის დამატებასა და 9 (ცხრა) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ზაგაშვილის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ძირითადად ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 აპრილის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი (კ-2=3.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 მაისის ბრძანების საფუძველზე, საპროექტო საკადასტრო ერთეულზე, გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 90%-ის განთავსების მიზნით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 29 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1,146,868 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 22 ივლისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 4.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 163,838.29 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 3.5-დან 4.0-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 163,838.29 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;

- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასლის ქუჩა N 105-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 6 622 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილ იქნა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=4.8-მდე, რაც გულისხმობს შენობის მიწისპირა და მიწისზედა სართულზე კომერციული ფუნქციის ფართისა და მიწისპირა სართულზე სასტუმროს ფუნქციის ფართის დამატებას; ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებლისვე განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-

2), ხოლო სსიპ - არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ნინო ბაგაშვილმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2024 წლის 18 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 11,054,682 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 23 ივლისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 4.8-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 480,638.35 ლარს.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N305 განკარგულებით კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი თანხის სანაცვლოდ განისაზღვრა ხელშემწყობი ღონისძიებები და მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი დადგინდა: კ-2=4.9. თუმცა, დაინტერესებული პირის მხრიდან დაირღვა აღნიშნული განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებები; კერძოდ, არ იქნა გადახდილი ხელშემწყობი ღონისძიებების სანაცვლოდ დადგენილი მაკომპესირებელი თანხა, რამაც გამოიწვია წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმება.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 4.6-დან 4.8-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 480,638.35 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;

➢ განკარგულების პროექტის თანახმად, ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, II და III მიკრო/რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 2803 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=3.8-მდე, რაც გულისხმობს საზაფხულო ფართის ცვლილებას საცხოვრებელ ფართად და კომერციული ფართის გაზრდას, არ იცვლება საპროექტო შენობა-ნაგებობის სიმაღლე. დაინტერესებული პირის მიერ, ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N378 განკარგულებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა და ვრცელდება ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 ივნისის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=3.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

ნინო ზაგაშვილმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ,

შეადგენს 3,417,992 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 10 ივლისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 3.8-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 292,970.74 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 3.5-დან 3.8-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 292,970.74 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N49, N49ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 18 664 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.6-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 12 (თორმეტი) სართულის დამატებასა და 59 (ორმოცდაცხრამეტი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N390 განკარგულებით დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა (კ-2=4.6). ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ივნისის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.6).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 30 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 93,469,312 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 31 ივლისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.6-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 20,319,415.66 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 4.6-დან 5.6-მდე;

- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 20,319,415.66 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N22ა; ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებთან (ფართობი - 10 617 და 352 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=4.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 8 (რვა) სართულის დამატებას და 23 (ოცდასამი) სართულიანი შენობა-ნაგებობების განთავსებას (20 საცხოვრებელი, 3 პარკინგი). ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე

პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N135 განკარგულებით, დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა (კ-2=2.5).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება 2024 წლის 8 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 13,024,141 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 4.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 7,814,484.60 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 2.5-დან 4.0-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 7,814,484.60 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მექანიზაციის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 8 624 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 2 სართულის დამატებას და 12 სართულიანი შენობების განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N21 განკარგულებით, საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა (კ-2=2.5; 10 მიწისზედა სართული).

ნინო ზაგაშვილმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2024 წლის 24 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 9,600,798 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,791,786.23 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

➢ ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 2.5-დან 3.0-მდე;
➢ არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
➢ დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,791,786.23 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
➢ დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
➢ ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N63-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 867 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს შესთავაზა საკითხის დამატებით შესწავლისა და ანალიზის მიზნით საკითხის გადადება.

ნინო ვარდოსანიძის რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა კომისიის წევრების მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სხდომის დღის წესრიგის ოცდამეხუთე საკითხის გადადებას.

მოისმინეს:

26. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 5 496 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=5.2-დან კ-2=5.9-მდე, რაც გულისხმობს „ბ“ ბლოკზე 2 სართულის დამატებას (საერთო ჯამში 18 მიწისზედა სართული). ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ზაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 4 აპრილის ბრძანებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა: კ-2=5.2.

ნინო ზაგაშვილმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 17 აპრილის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 8,235,377 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 5.2-დან 5.9-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,108,608.44 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი

ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 5.2-დან 5.9-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,108,608.44 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩა N49; N47-ში არსებულ

მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1 395 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.1-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 1 სართულის დამატებას და 6 სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის პარამეტრებით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 943,683 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 9 აგვისტოს წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.1-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 377,473.20 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 1.5-დან 2.1-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 377,473.20 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;

➢ ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, II მიკრო/რაიონი, II კვარტალი, N149 სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1 500 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=4.6-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 4 სართულის დამატებას და 9 სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ნინო ბაგაშვილმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 19 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 812,633 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის

7 აგვისტოს წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 4,6-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 682,611.72 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 2.5-დან 4.6-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 682,611.72 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების

პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი N1ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 2 198 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.9-მდე, რაც გულისხმობს 12 მიწისზედა სართულის განთავსებას (ემატება 4 სართული). ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებლისვე განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ნინო ბაგაშვილმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 მუხლით გათვალისწინებულ დანაწესზე, რომლის თანახმადაც, თუ მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტი კონკრეტული ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მაშინ მისი სამშენებლოდ განვითარების განსაზღვრისას არცერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ზონის ფართობი შეადგენს არანაკლებ მიწის ნაკვეთის ¾-ს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ამ ზონისთვის განსაზღვრული მოთხოვნები, რზ-1-ის რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით. როგორც მომხსენებელმა დასძინა, საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული ზონირებებიდან საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) ფართობი აღემატება მიწის ნაკვეთის საერთო ფართობის ¾-ს.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 05 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 2,739,139 ლარს; თუმცა, 2024 წლის 12 აგვისტოს დაინტერესებული პირის მიერ ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურში წარდგენილი განცხადების თანახმად, შეიცვალა საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზები და საკადასტრო კოდი და შესაბამისად, შეცვლილ იქნა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობიც (ნაცვლად 2255.00 კვ.მ-ისა, 2198 კვ.მ). აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურმა დაადგინა, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 8 ივლისის დასკვნის შესაბამისად, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 5 ივლისის მდგომარეობით შეადგენს 2,669,910.60 ლარს. აღნიშნული ღირებულება მიღებულია 1 კვ.მ ღირებულების, 1214.70 ლარის გამრავლებით მიწის ჯამურ ფართობზე, კერძოდ 2,198.00 კვ.მ-ზე. რაც შეეხება კ-2 კოეფიციენტის გადამეტების ფასს, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ამავე სამსახურის წერილის შესაბამისად, კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.9-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 754,539.96 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის

თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 4.6-დან 5.9-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 754,539.96 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, 2024 წლის 13 აგვისტოს მიღებულ იქნა განკარგულება N24.1402.1574 „ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინადადების წარდგენის შესახებ“, რითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, მიზანშეწონილად იქნა საკითხის მომზადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან წარდგენის მიზნით, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ, ხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მთავრობის განკარგულებით განისაზღვრა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 აგვისტოს N24.1402.1574 განკარგულების სათაურის მითითებისა და პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში, მე-7 სართულზე მდებარე 55.20 კვ.მ ფართობის N81 ბინის (მშენებარე), ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში, მე-3 სართულზე მდებარე 56 კვ.მ ფართობის N19 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ილია სუხიშვილის ქ. N45-ში, ბლოკი „ბ“-ს მე-8 სართულზე მდებარე 39.60 კვ.მ ფართობის N43 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურად - სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ნანა იოსელიანისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2023 წლის 10 ოქტომბერს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 105 კვ.მ ფართის თანამესაკუთრეებმა - ოთარ იოსელიანმა და ნანა იოსელიანმა და თანხმობა განაცხადეს აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემის სანაცვლოდ ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე.

სოფიო დოღონაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო

ღირებულება, თეთრი კარკასის კონდიციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3,903 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 409,815 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 187,294 ლარის, 131,544 ლარის და 90,961 ლარის ოდენობით (ჯამურად: 409,799 ლარი).

სოფიო დოლონაძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 21 მარტის N24.464.518 განკარგულებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემის თაობაზე შესაბამისი საპრივატიზებო პირობებით, თუმცა, შემდგომი პროცედურების განხორციელებისას გამოვლინდა შემაფერხებელი გარემოება - ოთარ იოსელიანის გარდაცვალება. შემდგომში, ნანა იოსელიანის 2024 წლის 25 ივნისის განცხადებით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი") განახლებული ამონაწერი, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი უძრავი ქონება დარეგისტრირდა ნანა იოსელიანის საკუთრებად, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე. ამავდროულად, როგორც მომხსენებელმა დასძინა, დაინტერესებული პირისათვის გადასაცემად განსაზღვრული ერთ-ერთი ბინა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა განახლებული მისამართის მონაცემებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სოფიო დოლონაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივლისის N 24.1247.1405 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 21 მარტის N24.464.518 განკარგულება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თანხმობის მიღების მიზნით, წარედგინა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების დაინტერესებული პირის საკუთრებაში გადაცემის საკითხი და მხარეთა შორის დასადები შესაბამისი ხელშეკრულების პროექტი შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:

- ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემძენის მხრიდან ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ", ბლოკი I, მე-7 სართულზე რეგისტრირებულ N16 ბინაზე საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა, აღნიშნული უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობა და მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის უზრუნველყოფა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით **ოცდამეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში, მეორე სართულზე არსებული 68.17 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 - (ერთი) ლარად, მოქალაქე სოფიო ოდიკაძისთვის პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N73 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას სოფიო ოდიკაძის ნაწილში.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოხსენებულ დაინტერესებულ პირს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2017 წლის 13 დეკემბრის N46.12.908** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017 წლის 22 დეკემბრის N73** განკარგულებების შესაბამისად და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში, მეორე სართულზე არსებული 67.25 კვ.მ ფართი, თუმცა, აღნიშნული უფლების დამდგენი დოკუმენტაცია საჯარო რეესტრში წარდგენილ იქნა 2024 წლის 13 მაისის განცხადებით. საჯარო რეესტრის მიერ აღნიშნული რეგისტრაცია შეჩერდა 2024 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით, ვინაიდან სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელ პირობად განისაზღვრა კორექტირებული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა. კერძოდ, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დადგინდა, რომ განცხადებით მოთხოვნილი უძრავი ქონების ფართი იყო 68.17 კვ.მ, ხოლო წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული იყო 67.25 კვ.მ, რაც უძრავი ქონების ურთიერთშეუსაბამო საკადასტრო მონაცემებია.

სოფიო დოღონაძის განმარტებით, საკადასტრო მონაცემთა შეუსაბამობა გამოწვეულ იქნა იმ გარემოებით, რომ 2020 წელს საჯარო რეესტრის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვა/დაზუსტება. ვინაიდან დაინტერესებულ პირს არ ჰქონდა საჯარო რეესტრში წარდგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ამონაწერში მესაკუთრედ ფიქსირდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდა დაინტერესებული პირისათვის გადაცემული ფართის აღრიცხვა/დაზუსტება.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილ იქნა სააგენტოს მიერ გაცემული საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანა საჯარო რეესტრის მიერ მომზადებულ ამონაწერთან მიმართებით.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 13 დეკემბრის N46.12.908 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადება სოფიო

ოდიკაშის ნაწილში და შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N73 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ზემოხსენებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 13 დეკემბრის N46.12.908 განკარგულების ნაცვლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N73 განკარგულების მითითების, ასევე პროექტის პრეამბულისა და მესამე პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. სოფიო დოლონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში მდებარე, მეორე სართულზე არსებული 23.76 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ზურაბ მაქაძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე 1974 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზურაბ მაქაძის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოლონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს 1-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 70.06 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე რუსუდან დემეტრაშვილისა და გივი უგრეხელიძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

- რუსუდან დემეტრაშვილს გადაეცემა 45.89 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, ხოლო გივი უგრეხელიძეს 24.17 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს საბურთალოს რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, რუსუდან დემეტრაშვილი 2012 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ხოლო გივი უგრეხელიძე 10 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება საბურთალოს რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების თანახმად, რუსუდან დემეტრაშვილის ოჯახი ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. სოფიო დოლონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N8-ში, მეორე სართულზე მდებარე 89.68 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად შორენა ხაინდრავასთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე 2008 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მონაცემების თანახმად, შორენა ხაინდრავას ოჯახის წევრი დავითი კიკორია არის იძულებით გადაადგილებული პირი; მას და მის ოჯახს 2009 წელს საკუთრებაში გადაეცათ საცხოვრებელი ფართი მდებარე მისამართზე - ქალაქი თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა № 3, კორპუსი „დ".

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოლონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, მე-4 მიკრო/რაიონში, კორპუს N2-ში, მეორე სართულზე არსებული 46.76 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ევგენი ალიმბარაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე 2010 წლიდან დღემდე ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ევგენი ალიმბარაშვილს 2013-2016 წლებში საკუთრებაში ერიცხებოდა ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, 1200 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი. 2017 წლის 21 დეკემბრიდან ზემოაღნიშნული უძრავი ქონება თანასაკუთრებაში ერიცხებოდათ ევგენი ალიმბარაშვილის ოჯახის წევრებს, რომელიც გასხვისდა 2017 წლის 28 დეკემბერს, მასზე რეგისტრირებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შეწყვეტის რეგისტრაციასთან ერთად. ოჯახის სხვა წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი, N4ა-ში პირველ სართულზე მდებარე 53.36 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ქეთევან ამბარდნიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე 16 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

38. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N28-ში მდებარე, პირველ სართულზე არსებული 21.30 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე მზია არქანიასთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირი 2000 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე

დასტურდება ვაკის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით, მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცხუმ-აფხაზეთის“ ნოტარიულად დამოწმებული ცნობით;

- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში მზია არქანია რეგისტრირებული არ არის;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მზია არქანიას საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

39. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, თრიალეთის ქუჩა N54-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 154.14 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე თინა გვირჯიშვილისთვის, ჯონი კოტრიკაძისა და ნათია ერისთავისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

- თინა გვირჯიშვილს გადაეცემა 92.69 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, ჯონი კოტრიკაძეს 46.13 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, ხოლო ნათია ერისთავს კი გადაეცემა 15.32 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირები 27-30 წელია ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;

➢ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნული პირების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოლონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

40. სოფიო დოლონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეორმოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში, შენობა N1-ში, პირველ სართულზე არსებული 88.69 კვ.მ ფართის და შენობა N1-ში, მეორე სართულზე არსებული 16.06 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ზვიად ლამპარაძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

➢ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირი დაახლოებით 10 წელია ოჯახთან ერთად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
➢ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზვიად ლამპარაძის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოლონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**41.** სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N34-ში, კორპუსი N1-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 62.56 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ლეილა თამარაშვილისა და მადონა გოგოხიასთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

- ლეილა თამარაშვილს გადაეცემა 22.96 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, ხოლო მადონა გოგოხიას 39.6 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს ნაძალადევის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირები 2012 წლიდან ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებითა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერთობა"-ს 2024 წლის 1 თებერვლის N2 კრების ოქმით.
- სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მონაცემების თანახმად, მადონა გოგოხიას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებითი გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2014 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით ჩამოერთვა დევნილის სტატუსი და მასზე არ ყოფილა გაცემული კომპენსაცია;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნული პირების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

42. სოფიო დოლონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, საბურთალოს ქ. N26ა-ს მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, მოქალაქე მანანა გოგიასთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა დაინტერესებულმა პირმა და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, 10 წლის ვადით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.

სოფიო დოლონაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ დაცული იქნება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 35-ე მუხლით დადგენილი რეგულაციები.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 10 ივნისის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 5 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1,296 ლარის ოდენობით.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოლონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 5 (ხუთი) წლის ვადით;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1,296 ლარი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

43. სოფიო დოლონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთიდან **18 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, შპს „ფუოკოსთვის" იჯარის ფორმით გადაცემის** საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „ფუოკოს" დირექტორმა და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

სოფიო დოღონაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ დაცული იქნება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 35-ე მუხლით დადგენილი რეგულაციები.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 4 აპრილის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 2 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4,320 ლარით.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 2026 წლის პირველ მარტამდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4,320 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

44. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, მოქალაქე ირინე გველესიანისთვის იჯარის

ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართა დაინტერესებულმა პირმა და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.

სოფიო დოღონაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციაზე, რომლის თანახმადაც, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ დაინტერესებულ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე 4 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება მიღებული ჰქონდა აღნაგობის უფლებით (აღნაგობის უფლების საბოლოო თარიღი - 25/09/2024), მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში კიბის მოწყობის მიზნით; აღნიშნული ტერიტორიის ადგილზე აზომვის შედეგად 4 კვ.მ-ის ნაცვლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 5 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 12 ივლისის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 10 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 720 ლარით.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი, 2024 წლის 26 სექტემბრიდან;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 720 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

45. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. N37-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მოქალაქე

თამაზ ხარაიძისთვის გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართა დაინტერესებულმა პირმა და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 15 წლის ვადით, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

სოფიო დოღონაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ დაცული იქნება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 34-ე მუხლით დადგენილი რეგულაციები.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 17 ივლისის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 15 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 432 ლარით.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 432 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

46. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა N3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შპს „გალაქსი ინვესტისთვის" იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის პირველი აგვისტოს დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების **წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 30 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 5,700 ლარით.**

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5,700 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

47. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, იოსებიძის ქ. N53-ში მდებარე 3 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, მოქალაქე ნანა მაისურაძისთვის იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა დაინტერესებულმა პირმა და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 5 წლის ვადით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.

სოფიო დოღონაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ დაცული იქნება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 30-ე მუხლით დადგენილი რეგულაციები.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 12 ივლისის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 10 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 432 ლარის ოდენობით.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 432 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

48. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და გენადი თავართქილაძეს შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმებული „პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 7.1.2 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 1 ივნისიდან 5 ივნისის ჩათვლით პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით) გენადი თავართქილაძის გათავისუფლების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, დაინტერესებულ პირს საკუთრების უფლებით გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა N3-ში, ბლოკი 9, პირველ სართულზე მდებარე, 75 კვ.მ ფართობის N283 ბინა. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული უძრავი ქონების გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემძენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში (არაუგვიანეს 2024 წლის 31 მაისისა), უნდა უზრუნველეყო ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა N3-ში, ბლოკი 8, მე-3 სართულზე მდებარე, 60.60 კვ.მ ფართობის N260 ბინაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

მომხსენებლის მითითებით, დაინტერესებულმა პირმა, ზემოხსენებული საპრივატიზებო ვალდებულების შესრულების მიზნით საჯარო რეესტრს მიმართა ხელშეკრულების გაფორმების დღესვე - 2024 წლის 16 მაისს. თუმცა, საჯარო რეესტრის მიერ, 2024 წლის 23 მაისს არასწორად შეჩერებულ იქნა სარეგისტრაციო წარმოება და ქონების შემძენს უსაფუძვლოდ მოეთხოვა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით.

როგორც სოფიო დოღონაძემ აღნიშნა, საჯარო რეესტრის მიერ არასწორად დადგენილი ხარვეზის გამო, ქონების შემძენის მიერ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება ნაცვლად 2024 წლის 31 მაისისა, შესრულდა ვადის დარღვევით - 2024 წლის 5 ივნისს, შესაბამისად, ქონების შემძენს ხელშეკრულების 7.1.2 პუნქტის საფუძველზე დაეკისრა პირგასამტეხლო 100 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან (01.06.2024 წ.) ვალდებულების შესრულებამდე (05.06.2024 წ.), რაც ჯამში შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სოფიო დოღონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ვინაიდან სახეზეა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოაღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

49. სოფიო დოღონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N4-ში მდებარე 857 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, ნასყიდობის საფასურით - 2,444,525 ლარის ოდენობით შესყიდვის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩისა და პ. ქავთარაძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გვირაბის მშენებლობის სამუშაოების განხორციელების პროცესისთვის შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს ზემოხსენებული უძრავი ქონების კერძო საკუთრებაში არსებობის ფაქტი, ვინაიდან ზემომითითებული სამუშაოები აღნიშნული უძრავი ქონებისთვის საფრთხის შემცველია. შესაბამისად, ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ მოთხოვნილ იქნა, დაჩქარებული წესით, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების მიზნით შესყიდვა (ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით) და წარმოდგენილ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნები.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, უძრავი ქონების მთლიანმა საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 2,314,773 ლარი, ასევე მიწის ნაკვეთზე

არსებული ხეხილოვანი კულტურების და წიწვოვანი/ფოთლოვანი მცენარეების დაზიანების/მოჭრის შემთხვევაში საბაზრო/აღდგენითი ღირებულება შეადგენს 59,752 ლარს, ხოლო მიწის ნაკვეთზე დამაგრებული ღობის საბაზრო ღირებულებამ, 2024 წლის 22 ივლისის მდგომარეობით, შეადგინა 70,000 ლარი. შესაბამისად, სამივე ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ღირებულებები ჯამურად შეადგენს 2,444,525 ლარს.

სოფიო დოლონაძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის რეგისტრირებული საერთო ფართობია 345.66 კვ.მ, თუმცა, ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის გაგზავნილი აზომვითი ნახაზებით, ამავე შენობა-ნაგებობების ფართობი ფაქტობრივად შეადგენს 473.66 კვ.მ-ს.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი შიდა აზომვითი ნახაზების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი სამმართველოს მიერ უძრავი ქონების ადგილზე დათვალიერების გზით, დადგინდა, რომ შენობა-ნაგებობების შიდა ფართის ჯამური ოდენობა შეადგენს 477,17 კვ.მ-ს, რაც 3,51 კვ.მ.-ით მეტია ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ წარდგენილ ნახაზებზე ასახულ ოდენობასთან მიმართებით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების თანამესაკუთრეებმა წერილობითი თანხმობა განაცხადეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ უძრავი ქონების შესყიდვაზე იმ პირობით, რომ აღნიშნული უძრავი ნივთის შესყიდვა განხორციელდება არა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების შესაბამისად, არამედ ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თანამესაკუთრეთა მიერ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების შესაბამისად.

მოხსენების მიწურულს, სოფიო დოლონაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და მისი პრიორიტეტულობის, ასევე ქონების მესაკუთრეთა ცალსახა პოზიციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების შესყიდვა და შესყიდვის თანხად განსაზღვრა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრული ღირებულება, რომელიც ჯამურად შეადგენს 2,444,525 ლარს. ამასთანავე, მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ გამყიდველისათვის ნასყიდობის საფასურის გადახდა განხორციელდება მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული იპოთეკის გათვალისწინებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

50. სოფიო დოლონაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული

პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **2024 წლის 12 ივლისის №330 განკარგულების დანართებით განსაზღვრული პირისათვის გადასაცემი ფართის სართულისა და ბინის მონაცემებში ტექნიკური ხარვეზების გასწორებას.**

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური და სტილისტური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

სხდომის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომის მდივანი ნინო დანელიშვილი